ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №08-87/2

ქ. თბილისი 2 აგვისტო, 2016 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „აიღვინისსახლი", წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის (მინდობილობა 20.11.2015 წელს დამოწმებულია ნოტარიუსის ი. ნანობაშვილის მიერ) ნანა ჭანტურიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ე. ახვლედიანის აღმართი №4;
ტელ.: 558 61 33 81
საბანკო რეკვიზიტები: სს "თი ბი სი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა GE64TB7864 836020 100002
საიდენტიფიკაციო კოდი: 406 128 275

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იორდანიის პრინცის ვიზიტის ფარგლებში 2016 წლის 3 აგვიტოს 10 პერსონაზე დაგეგმილი ვახშმის მომსახურების (CPV55330000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1400.0 (ერთიათას ოთხასი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება

4.5 დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი მომსახურების უნაკლო შესყიდვის ობიექტის გაწევის დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2016 წლის 3 აგვისტოს 19⁰⁰ საათზე

6.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ე. ახვლედიანის აღმართი №4; სასტუმრო-რესტორანში „ვინოტელი“.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს 2016 წლის 3 აგვიტოს 10 პერსონაზე დაგეგმილი ვახშმის მომსახურების უზრუნველყოფა.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შპს „აიღვინისსახლი"
მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი	მინდობილი პირი ნანა ჭანტურია
---	---

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი „ -2-„ აგვისტო, 2016 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და **შპს „აიღვინისსახლს"** (საიდენტიფიკაციო კოდი 406 128 275) შორის ვახშმის მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი სრულად ვაკმაყოფილებ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი /ნატო ასათიანი/ _____